საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #39

2020 წელი 14 აგვისტო 14.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ლ. არველაძე,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო კომისიის წევრები

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ვახტანგ ლომჯარია.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლევან დარახველიძე

სხდომის თავმჯდომარის მ/შ ლ.დარახველიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება (მოსმენა)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მოისმინეს:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ კომისიების წევრებს გააცნო ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ და ასევე, ისაუბრა დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები 6 თვეში დაფინანსდა 624,3 თასი ლარის ოდენობით, კერძოდ

04 01 - ბიზნესის სტიმულირება 544,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (950,7 ათასი ლარი) 57,3%-ია. საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში მომზადდა ბიზნეს-გეგმები დამწყები ბაზნესმენებისათვის და დაფინანსდა ბიზნეს აქსელერატორის მიმდინარე ხარჯები. ასევე, გაწეული ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მომსახურების ხარჯები, მოეწყო გამოფენა-გაყიდვა „საშობაო ბაზარი“, „თბილისური ბაზარი“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-ბაზრობა, ჩატარდა კვლევა COVID 19-ის გავლენა მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე;

04 03 - თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 3,2 ათასი ლარით. დაფინასდა ტურისტული რუკების დაბეჭდვის ხარჯები;

04 04 - თბილისი საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში დაფინანსებულია 30.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (66.1 ათასი ლარი) 46.6%-ია. საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ და “Delice Network”-ის საწევრო გადასახადი, სასაქონლო ნიშნის „თბილისური ბაზარი“-ს დაპატენტების ხარჯები. გარდა ამისა, თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს: პოლონეთის რესპუბლიკაში (ქ.ვარშავა) “CEE Business Services Summit & Awards”-ის მიერ გამართულ ღონისძიებაში, იაპონიის სამეფოში (ქ.ტოკიო) იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო JICA-ს მიერ მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებისათვის გამართულ სასწავლო პროგრამაში;

04 08 - თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა დაფინანსებულია 46.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ესპანეთის სამეფოში (ქ.მადრიდი) გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა "Internacional Tourism Fair –FITUR 2020"-ში და გიდების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. ასევე, გადახდილ იქნა თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ფედერაციის ექსპერტების, ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების ვიზიტის ხარჯები, „ევროპის ქალაქების მარკეტინგის" საწევრო გადასახადი.

კომისიის წევრებმა დედაქალაქის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ვახტან ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ იმსჯელეს. და მის კანდიდატურას თანხმობა გამოუცხადეს.

აზრი გამოთქვეს:

ლ.დარახველიძემ, ო.გრიგოლიამ, ქ.ჯოხაძემ, ი.ზარქუამ,

ლ.დარახველიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.დარახველიძე